# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ახვლედიანის საქმიანობის წლიური

# ანგარიში

თბილისი

2022-2023 წწ.

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო წარმოადგენს ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს. სადაც, ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ასევე - „საკრებულოს რეგლამენტით.”

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვმონაწილეობდი საკრებულოს, ბიუროსა და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებში. ასევე, ვარ სატრანსპორტო საკითხთა და სარევიზიო კომისიის წევრი.

ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვალია, ვუზრუნველყო მოქალაქეთა პრობლემატური საკითხების განხილვა და მათზე მყისიერი რეაგირება. მქონდეს მუდმივი კომუნიკაცია თბილისის მოსახლეობასთან და მათთან ერთად შევძლო ქალაქის პრობლემების ძირეული აღმოფხვრა.

## საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, დავესწარი 14 სხდომას.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე გაიცა 105 დადგენილება და 615 განკარგულება.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა. ,,ვაშლიჯვარის“ (ს/ნ 205584820) მისამართზე: ქ. თბილისი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ: N 01.10.18.005.046,ფართობი 668 კვ.მ.) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისი მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N 39-18 დადგენილებაში ცვლილების შესახებ თაობაზე.

<u>ბიუროს სხდომები</u>

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 19 სხდომა, დავესწარი 18 -ს. სადაც ჩემი და ჩემი კოლეგების ჩართულობით მოხდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

## სატრანსპორტო საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 15 სხდომა, განხილულ იქნა 41 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):

***ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, გამოიწერება საჯარიმო ქვითარი ან ელექტრონული ფორმით ივსება საჯარიმო ქვითარი, რომელიც ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.***

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):

***ცვლილების შედეგად, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს.***

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032234849-03; 14.12.2022):

*პროექტის თანახმად, ბიუჯეტს დაემატა ახალი პროგრამა - მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) 1410,0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ემსახურება თბილისში მდგრადი მობილობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) გონიერი სატრანსპორტო სისტემა, ე.ი. მართვის ცენტრი მონაცემთა პლატფორმით, სენსორებითა და სიგნალიზაციის ტექნოლოგიით, რაც გამოიყენება სამანქანო ნაკადებისა და პარკირების ადგილების რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისათვის; 2) ე.წ. „მწვანე დერეფნები“, რაც გულისხმობს შერჩეული სატრანსპორტო დერეფნებისათვის ქუჩის ახალი დიზაინის შემუშავებას, მათ შორის სწრაფი საავტობუსე სავალი გზების მოწყობასა და ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებას.*

- *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცვლილებების შედეგად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენისათის გამოიყო 522,096.4 ათასი ლარი;*

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03230451-03; 14.02.2023):

*პროექტის თანახმად, გაიზარდა ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები. მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 6 000,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 12 000,0 ათასი ლარით; სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ (კოდი 10 18) - 142,8 ათასი ლარით.*

*ასევე, ბიუჯეტში დაემატა ახალი პროგრამა - თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25). პროგრამის ასიგნებები განისაზღვრა 3 250,0 ათასი ლარით და ემსახურება მეტროს სადგურების რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას.*

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074119-03; 15.03.2023):

*პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაემატა ორი ახალი სტრუქტურული ერთეული - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური და სანებართვო-ანალიტიკური სამსახური.*

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032313664-03; 16.05.2023):

*დადგენილების საფუძველზე, 22 მაისიდან დაიწყო სპეციალური სტიკერების დარიგება A კატეგორიის იმ ტაქსებისთვის, რომელთა ასაკი 10 წელს არ აღემატება. აღნიშნული სტიკერები არის მაიდენტიფიცირებელი იმისა, რომ მათ საავტობუსო ზოლში შეეძლებათ გადაადგილება.*

## სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარევიზიო კომისიის 13 სხდომა და განხილულ იქნა 37 საკითხი. აქედან დავესწარი 13 სხდომას.

აღნიშნული საკითხებიდან გაგაცნობთ რამდენიმეს:

- ა(ა)იპ ქ. თბილისის №86-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.
- ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

## ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (შემდგომში ფრაქცია) ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების დამოუკიდებლობა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას კანონის უზენასეობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების პროგრამების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა;
- მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა.

სულ ჩატარდა ფრაქციის 18 სხდომა. აქედან, განხილულ იქნა 26 საკითხი, აქედან დავესწარი 9-ს.

აქვე წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხებიდან რამდენიმეს:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესახებ;
- აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის შესახებ;
- ისტორიული ძეგლების სტატუსის მქონე ავარიული სახლების რეაბილიტაციის პროგრამის შესახებ;
- სტრასბურგში გამართულ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებათა კონგრესის პლენარულ სესიაზე განხილული საკითხების შესახებ;

- დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტი“-ს მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის შესახებ;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების შესახებ.

## მოქალაქეებთან შეხვედრა

მოგეხსენებათ, ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და ასევე კომისიების - „სარევიზიო კომისია“ და „სატრანსპორტო საკითხთა კომისიის“ წევრის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, დედაქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კომისიისა თუ სამსახურების ჩართვა სამუშაო პროცესში და მათი გადაჭრა.

ასევე, მიმდინარე წლის სამუშაო პერიოდში მქონდა შეხვედრა ათეულობით მოქალაქესთან. როგორც იცით, მოქალაქეთა მიღების დღედ განსაზღვრული მაქვს - ოთხშაბათი დღე. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს.

გარდა უშუალო კომუნიკაციისა, ჩემი სამდივნო ახორციელებს მოქალაქეთა ზარების მონიტორინგს და შესაბამის შუამდგომლობას უწევს თითოეულ მათგანს თავიანთი საჭიროებიდან გამომდინარე, იქნება ეს რომელიმე რაიონული გამგეობა თუ მერიის საქალაქო სამსახური.

## დასკვნა

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი აქტივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:**

- ✓ ჩატარებული საკრებულოს სხდომა - 14
- ✓ ბიუროს სხდომა - 18
- ✓ მიღებული განკარგულება - 615
- ✓ მიღებული დადგენილება - 105
- ✓ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სხდომა - 18
  განხილული საკითხები - 26
- ✓ სატრანსპორტო კომისიის სხდომა - 15
  განხილული საკითხები - 41
- ✓ სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა - 13
  განხილული საკითხები - 37

ასევე მინდა აღვნიშნო, მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და სტაბილიზაციის საკითხებში, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი.

პატივისცემით,

გიორგი ახვლედიანი